ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 16 ᲛᲐᲠᲢᲘ 1978 Წ. □ № 63 (17107) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

„ᲡᲐᲚᲣᲢ-6“ — „ᲡᲝᲘᲣᲖ-27“

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 15 მარტი. (საკდესი). მოსკოვის დროით 13 საათისათვის „სალუტ-6“ ორბიტულმა სადგურმა 2.638-ჯერ შემოუარა დედამიწას, აქედან 1.484-ჯერ — ეკიპაჟითურთ.

ფრენის პროგრამის შესაბამისად, ხვალ კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო დედამიწაზე ბრუნდებიან. დღევანდელი სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც დილის 9 საათზე დაიწყო, ეკიპაჟი ასრულებს „სალუტ-6“ სადგურის საბორტო სისტემებისა და აპარატურის კონსერვაციის საბოლოო ოპერაციებს და დედამიწაზე დასაბრუნებლად ამზადებს „სოიუზ-27“ კოსმოსურ ხომალდს. კოსმონავტები რთავენ და ამოწმებენ ხომალდის საბორტო სისტემებსა და ძრავის დანადგარს, დასაშვებ აპარატში აწყობენ ფირიან კასეტებს, ფრენის დოკუმენტაციასა და კვლევის სხვა მასალებს, ხაოფაცხოვრებო ნაკვეთურში კი გადაკეთდ გამოყენებული მოწყობილობა.

ეკიპაჟის დღის წესრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე ფიზიკური ვარჯიში და წვრთნა, რომლის დროს გამოიყენებენ ვაკუუმურ კოსტუმს „ჩიბისს“.

ეკიპაჟის მოხსენებათა თანახმად და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ!

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲡᲢᲛᲝᲑᲡ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲥᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲡ

— ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ მოვაწყოთ კომუნისტური შაბათობა, მაღალნაყოფიერი შრომით, საუკეთესო ხარისხის პროდუქციით აღვნიშნოთ იგი, — ასე გადაწყვიტა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა მიტინგზე.

შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი ათასამდე მეტალურგი. 22 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 108 წლისთავის აღსანიშნავად. ისინი დავალების გადაჭარბებით გამოუშვებენ 100 ტონა თუჯს, 200 ტონა ფოლადს, 180 ტონა ნაგლინსა და მრავალ სხვა პროდუქციას. თბოელექტროცენტრალის მშრომელები გამოიმუშავებენ 35 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, მარტენის საამქროს ყველა ღუმელი დაზოგილი მაზუთით იმუშავებს. 500 ჩარხ-საათი დაიხარჯება სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე, 6 ათასი კაც-საათი—აგრეგატებისა და მოწყობილობის რემონტზე. (საქინფორმი).

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 22 აპრილს დაამზადოს 1000 ცალი გოფრირებული შლანგი, 100 მტვერსასრუტი და სათადარიგო ნაწილები. ამ დღეს შეიქმნება 12.000 მანეთის პროდუქცია და ჯამომუშავებული თანხა გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. კოლექტივი მოაწესრიგებს საწარმოს ტერიტორიას.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). 22 აპრილს შაბათობაზე სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ გამოვა 1.100 კაცი, რომლებიც დაამზადებენ 35 ათასი მანეთის პროდუქციას. ენერგიულად ემზადება ცხინვალის ქიმიური ქარხნის კოლექტივიც. მაბათობის დღეს ქიმიკოსები აწარმოებენ 7,5 ტონა ოლიფას, 2,6 ტონა საღებავს, 2 ტონა სარეცხის ფხვნილს და მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 3 ათასამდე მანეთს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲫᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის გამოცდილმა მძღოლმა, სოციალისტური შრომის გმირმა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბორის ვაშაკიძემ დიდ წარმატებას მიაღწია. მან მეთერთმეტე ხუთწლედის პირადი დავალების შესრულება უპატაკა სამშობლოს.

ეს მიღწევა თავდადებული შრომის შედეგია. მის მიერ შემუშავებული მუშაობის მეთოდები ცვლის დავალებათა ორმაგად და სამმაგად შესრულების საშუალებას იძლევა.

ბ. ვაშაკიძე თავის გამოცდილებასა და ოსტატობას, შრომის მოწინავე მეთოდებს დიდი პასუხისმგებლობით უზიარებს ახალგაზრდა მუშებს. ყველა მისი ყოფილი მოწაფე გრაფიკის გასწრებით მუშაობს. სურათზე: ბორის ვაშაკიძე.

გ. მერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ

ᲢᲔᲛᲞᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ კორ.). რაიონის ნოსირის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველები საფუძველს უყრიან მამდინარე წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს. მექანიზატორები ტ. ოდიშარია, შ. სიმონია, გ. გოგიჩაიშვილი, შ. ღჩანეიშვილი, რომლებიც ჩაბუღლი არიან შეჯიბრებაში, ხვნის დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მეურნეობაში საკმაოზე მეტი მოიმარაგეს სიმინდის, სოიის თესლი.

გეჯეთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები მთელი ძალით მუშაობენ იმისათვის, რომ წელს შარშანდელთან შედარებით მეტი ჩაის, სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი მიიღონ, ახლა მიმდინარეობს 516 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მწკრივშორისების დამუშავება, სასუქების შეტანა, სხვლა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

15 მარტს კრემლში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გაზეთ „იზვესტიას“ გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

ᲮᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Პ. Თ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ:

ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲑᲝᲫᲔᲗ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲮᲐᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲛᲕᲐᲨᲘ.

ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲛᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲘᲛ ᲬᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ, რომელიც გაზეთს შეაქვს კომუნისტური აღზრდაში და საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათს დარაზმვაში.

ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲗᲐᲡ ᲬᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲛᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ამხანაგებო!

სანამ სასიამოვნო მისიას შევასრულებდე და ოქტომბრის რევოლუციის ორდენს გადაცემდე გაზეთ „იზვესტიას“, მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ.

„იზვესტიას“ სასიქადულო ბიოგრაფია აქვს. დიდი ოქტომბრის გამარჯვების მომენტიდან გაზეთი ერთგულად ემსახურება სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლების საქმეს.

მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ლენინის დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იყო გაზეთის მუდმივი ავტორი და ყურადღებიანი მკითხველი. იმ ისტორიული დღეებიდან იღებს სათავეს „იზვესტიის“ ის ტრადიცია, რომ უშუალოდ მონაწილეობდეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში და რაზმავდეს მათ საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად.

„იზვესტიის“, ისევე როგორც მთელი საბჭოთა პრესის, ავტორიტეტი უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია მის ღრმა დემოკრატიზმთან. ჩვენი პრესა — ეს არის ყოველდღიური საყოველთაო-სახალხო ტრიბუნა, რომელიც მისაწვდომია თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის. აქ გულახდილად ვლაპარაკობთ ჩვენს სიხარულსა და გულისტკივილზე, წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ყველაფერზე რითაც ვცხოვრობთ, რაზეც ვოცნებობთ, რაზეც ვმუშაობთ. ამიტომ ვასაგებია, რომ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ბევრ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას პრესის პუბლიკაციებთან დაკავშირებით იღებდნენ და იღებენ.

და კიდევ ერთი პრინციპული მომენტი. საბჭოთა პრესა მუდამ ერთგულად ემსახურება ინტერნაციონალიზმის იდეებს, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იდეებს. დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა ექმნებოდეს საფრთხე ხალხის თავისუფლებას, სადაც უნდა შეეჯახონ ერომანეთის რეაქციისა და პროგრესის ძალები და სადაც უნდა არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, იგი ყოველთვის იმაღლებდა და იმაღლებს ხმას მართალი საქმის დასაცავად. და ეს ავტორიტეტული ხმაა. მას ყურად იღებენ მთელ მსოფლიოში.

მხურვალედ ვულოცავ „იზვესტიის“ ორდენოსან კოლექტივს დამსახურებულ ჯილდოს. ვუსურვებ „იზვესტიას“ და ყურნალისტთა მთელ ჩვენს არმიას შემდგომ წარმატებებს ყველა მათს საქმეში, ოპერატიულობას მართალი ინფორმაციის გავრცელებაში, ვუსურვებ ბოლშევიკურ მგზნებარებას, მებრძოლურობასა და პრინციპულობას ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდაში.

* * *

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა გაზეთ „იზვესტიის“ წარმომადგენლებს.

ხაპასუხო სიტყვაში გაზეთის მთავარმა რედაქტორმა პ. თ. ალექსეევმა თქვა:

ნება მიბოძეთ „იზვესტიის“ კოლექტივისა და გაზეთის მკითხველთა სახელით მზრუნველ და უდიდესი მადლობა მოვახსენო ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და პირადად მიენიჭა იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის შრომელთა კომუნისტურ აღზრდაში და საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათს დარაზმვაში.

ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲛᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ ᲐᲘᲐᲒᲖᲜᲘ (სემიპალატინსკის ოლქი). 14 მარტი. საბჭოთა მეურნეობა „კარაკოლში“ ახალმოსახლეობა გადაიხადა ამომრჩეველთა განაწესის თანახმად აგებულმა სკოლამ. მშენებლობას პირველი ეტაპებიანად შეუფერებენ ხალხური დეპუტატები. აქ მათ შექმნეს თავიანთი საგუშაგო, რომელიც თვალყურს ადევნებდა მშენებლობის ტემპსა და ხარისხს. დეპუტატების დახმარებით ოლქში ამენდა ბევრი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა.

□ ᲒᲝᲠᲚᲝᲕᲙᲐ (დონეცკის ოლქი), 14 მარტი. გაერთიანება „სტროლში“ საექსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროგადაცემის საკაბელე ხაზი. ეს თხევადი ამიაკის მწარმოებელი კომპლექსის პირველი ობიექტია. საწარმოს პროდუქციას გამოიყენებენ აზოტოვანი სასუქების გამოსაშვებად.

□ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ, 14 მარტი. ერთიორად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის გაწეული მოცულობა კუბინეშვილის რაინგზის განყოფილების სადგურებზე. რკინიგზელები ზრდიან მუშაობის ტემპებს, აჩქარებენ მატარებლების მოძრაობას, რიგგარეშე გამოყოფენ ვაგონებს სეზონურ ტვირთისათვის.

□ ᲑᲐᲙᲝ, 14 მარტი. ღღეს გაიმართა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელმაც განიხილა საიუბილეო წელს სამეცნიერო გამოკვლევათა ეფექტიანობის ამაღლების გზები და საიუბილეო წელს რესპუბლიკის მეცნიერთა მოღვაწეობის შედეგები. მეცნიერებმა, რომლებიც განამტკიცებენ პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირს, წარმოებაში დანერგეს 52 ნაშრომი, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა 70 მილიონი მანეთი მეადგინა. ამას ხელი შეუწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ფართო ქსელის შექმნამ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ-ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს შემდეგი საკითხები: „საქართველოს სსრ მუშაკნი მრეწველობის სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის მუშაობა“ (სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის გ. გამცემლიძის ინფორმაცია) და „გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ მიერ სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქების პრაქტიკა“ (გაზეთის რედაქტორის მოადგილის გ. ფაცურიას ინფორმაცია).

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ დარგში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა კოლექტივების, ბრიგადების, დამრიგებლების, მასობრივ პროფესიათა მუშების შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხები, ზრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა და მათი შედგომი გავრცელება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების ძიება.

აღინიშნა, რომ დარგის შრომითმა კოლექტივებმა მეათე ხუთწლედის მეორე წლის მაღლეფეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

შესრულდა პროდუქციის გამოშვების, მოცულობისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების დავალებანი. და ვალდებულებანი. გადაჭარბებით არის განაღდებული მზა აბრეშუმის ქსოვილების, წინდის, ქრომის ტყავსაკონლის, საფეიერო-საგალსტერეო და შეკერილი ნაწარმის გამოშვების სოციალისტური ვალდებულებანი. გაიზარდა რეკორტიანეს საცვლის, ფეხსაცმლის, ზედა ტრიკოტაჟის, შალის ნართის წარმოება. 1977 წელს შესრულდა ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებულმა ბირობებმა წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა. გაიზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვება. 1977 წელს გამოშვებულია 300 დასახელების ხარისხნიშნიანი ნაწარმი, რომელთა ხვედრითმა წონამ 3,4 პროცენტი შეადგინა.

გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას ბევრად შეუწყო ხელი მოწინავე მშრომელთა გამოცდილების დანერგვამ, საწარმოთა, საამქროთა, უბანთა, ბრიგადათა კოლექტივების, მუშების შეჯიბრებამ.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინიციატივა მოიწონა სამინისტროს კომისიამ და გაავრცელა საწარმოებში, რის შედეგადაც 1977 წლის გეგმები შეასრულა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ყველა საწარმომ, გარდა ზუგდიდის ფაიფურის ქარხნისა.

შრომითს კოლექტივებში ჯეროვანი მნიშვნელობა ეთმიება დარიგებლობას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, „ავეოლ-მაუდის“ კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, ხ. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, ქუთაისის ს. ციროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება, წულუკიძის აბრეშუმსახვევსაგრეხი ფაბრიკა „კომუნისტური შრომის საწარმოს“ წოდებას ატარებენ. კომუნისტური შრომის მალალი წოდება მიენიჭა 900 ბრიგადას, კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება დაიმსახურა 22 ათასმა მუშამ.

მუშაობის საუკეთესო ხერხებისა და მეთოდების, პროფესიული ჩვევების შესწავლისა და გავრცელების მიზნით 1977 წელს კომისიამ მოაწყო მუშაობა ოსტატობის კონკურსი. თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“ მოეწყო ხისტი ტყავის გამომკვეთთა მოწინავე გამოცდილების საკავშირო სკოლა, სადაც სწავლობენ სსრ კავშირის სახელწოდო პრემიის ლაურეატის, ბრიგადის გ. რიმბინსოველის მუშაობის გამოცდილებას, რომელიც ტყავის ფასალების დაჭრის პირადი პროგრესული მეთოდების დანერგვის, ტექნიკური ოსტატობისა და ჩვევების დახვეწის, მაღალი ზრომის დისციპლინისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საფუძველზე 100 კვადრატული დეციმეტრი ტყავნედლეულის დაჭრას 156 წამს ანდომებს ნორმატივთან გათვალისწინებული 444 წამის ნაცვლად. სკოლის მუშაობაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოთა 50 წარმომადგენელი.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის მუშაობა ჯერ კიდევ არ შეფასებიმება მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაღლიერების შესახებ“.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲮᲘᲚᲓᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲚᲐᲯᲚᲕᲠᲝᲐ მახარაძის რაიონის შრომელთა სიხარული. 1977 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის რაიონს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეათე ხუთწლედის მეორე წელს მახარაძელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 72.426 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე 21.500 ტონით მეტი, ამასთან მოკრეფილი ჩაის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

უხვმოსავლიანი იყო გასული წელი ციტრუსების წარმოებაშიც. რაიონის მეციტრუსეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 25 ათასი ტონა ციტრუსი, 10.793 ტონით მეტი, ვიდრე წინა წელს. მეჩაიეებსა და მეციტრუსეებს არ ჩამორჩნენ მეაბრეშუმენიც. მათ დაძლიეს ჩამორჩენა და სახელმწიფოს ჩაბარეს 684 ცენტნერი აბრეშუმის პარკი გეგმით გათვალისწინებული 660 ცენტნერის ნაცვლად. მეხილეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 14.018 ტონა ხილი. თავი გამოიჩინეს მახარაძელმა მეცხოველეებმაც.

თავდადებული შრომით აღინიშნეს საიუბილეო წელი აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. მათ ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდეს ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებანი და წლის დამლევისათვის გამოუშვეს 130 მილიონი მანეთის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 125 მილიონი მანეთის ნაცვლად. შარშან რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა მაღაროების მართვის საამქრო, აშენდა სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსი, სოფელ ბაღლეთის კოლმეურნეობის პირუტყვის სასუქებელი პუნქტი, საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის ახალი კორპუსები, ნარეჯის რვაწლიანი სკოლის შენობა, სასოფლო კულტურის სახლები, სპორტული ბაზა „ამირანი“, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და სხვ.

1977 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე მახარაძის ჩაის ფაბრიკების რაიონული საწარმოო გაერთიანება, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის „სპატიო ნიშნის“ ორდენოსანი კოლმეურნეობა და ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა.

სპატიო ჯილდოების გადაცემას მიეძღვნა მახარაძის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, რომელიც მახარაძის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრში გაიმართა

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

შეჯიბრებას-უმაღლესი ქმედითობა

(დასასრული)

კომისიის საქმიანობაში ჯერ კიდევ შეგრია ფორმალიზმი. იგი ღრმად არ სწვდება სისტემაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხებს, რის შედეგადაც ზოგიერთ საწარმოში შეიმჩნევა ამ საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება. ბევრ საწარმოში ვალდებულებათა მიღების დროს არ გათვალისწინებიათ წარმოე ბ ლ ს რეალური შესაძლებლობანი.

კომისია ჯერ კიდევ არ უთმობს ჯეროვან ყურადღებას ადგილებზე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, რის გამოც არასაპატიო მიზეზებით სამუშაო დროის დანაკარგები და მუშათა კადრების დენადობა ცალკეულ საწარმოებში კვლავ მაღალია.

აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად ამ საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი, კომისია კი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. 1977 წელს კომისიის სხდომებზე არ განუხილავთ არც ერთი იმ ბრიგადის მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ხარისხისათვის ბრძოლაში.

საკმაო ყურადღება არ ეთმობა შრომის მოწონვის ხერხებისა და მეთოდების, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას.

კომისიას არ განუხილავს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მომსახურების დარგობრივი ნორმების ათვისება, ეს მაჩვენებელი კი ბევრად ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს.

იმის მიუხედავად, რომ ზუგდიდის ფაფურის ქარხანამ გასული სამეურნეო წელი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა, კომისიის სხდომაზე განხილული არა ყოფილა ამ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრების საკითხი.

ბევრმა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, მაგრამ კომისიას არც ეს საკითხი განუხილავს.

კომისია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა მომიჯნავე საწარმოთა შეჯიბრებას, არ აწყობდა გამსვლელ სხდომებს სისტემის საწარმოებში.

აღინიშნა, რომ კომისია და სამინისტროს კოლეგია ხშირად ერთმანეთის დუბლირებას ეწევიან. კომისიის საქმიანობა ფაქტიურად მხოლოდ შეჯიბრების შედეგების შეჯამებით ამოიწურება. მას სათანადო კონტაქტი არ დაუმყარებია პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს შეჯიბრების მონაწილეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, განაწილებული არ არის მოვალეობანი კომისიის წევრებს შორის.

რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გააფართოვა და გააღრმავა შრომითს კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებასთან და ორგანიზაციის სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქება. 1977 წელს გაზეთი იყო მონაწილე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა „სოციალისტური შეჯიბრების საკითხების კარგად გაშუქებისა და შემუშავებისათვის“, ბრენდა გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალური პრიზი და ფულადი პრემია როგორც სოციალისტური შეჯიბრების საკითხების სიუჟეთსო გაშუქებისათვის საკავშირო კონკურსის გამარჯვებულს.

აღინიშნა, რომ გაზეთში თანამიმდევრულად ინერგება სისტემური მიდგომა სოციალისტური შეჯიბრების საკითხებთან დაკავშირებული მასალების გაშუქების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისადმი.

ხელმძღვანელობს რა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებები გაზეთმა თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო დებულება იმის შესახებ, რომ მტკიცე დისციპლინა ის საფუძველია, რომელზეც უნდა აიგოს პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ათვისა, იხალი ადამიანის აღზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზნების მისაღწევად.

აღინიშნა, რომ მეტად ეფექტიანია იმ მიზნობრივი გეგრეფების სერიათა მომზადება და პუბლიკაცია, რომელიც ასახავენ ორგანიზატორულ მუშაობას რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის შეჯიბრების ხელმძღვანელობის დარგში. ასეთი გეგრფები მიეძღვნა აბაშის, თერჯოლის, გრდაბნის, გურჯაანის, ახალციხის, გორისა და სხვა რაიონული პარტიული ორგანიზაციების, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე მუდმივი გახდა რუბრიკა „პარტიული ცხოვრება: ეკონომიკა და შეჯიბრების ორგანიზაცია“. ამ რუბრიკით გამოქვეყნებულმა ბეჭდვა პუბლიკაციამ საზოგადოებრივ ი ვ ი რეზონანსი პოვა.

შეჯიბრების ორგანიზაციის მოწონვაე გამოცდილების გაერცელებისათვის რედაქციის მუშაობის შემადგენელი ნაწილი გახდა მასალების გამოქვეყნება ქვეყნის იმ საოკეთესო შრომითი კოლექტივების შესახებ, რომლებიც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში. რუბრიკით „საბჭოეთი: მეწინავეთა გამოცდილება“ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა მასალები ზაპოროჟიეს, როსტოვისა და ჩელიაბინსკის ოლქების, სტავროპოლის მხარის იპატოვის რაიონის მშრომელთა გამოცდილების შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ გაზეთმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვა შეჯიბრების საკითხების გაშუქებაში. იგი გახდა იმის ინიციატორი, რომ დაწყებულიყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივის შეჯიბრება აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობათან, რომლებიც სოფლად პირველები გამოეხმაურნენ რუსთაველთა თაოსნობას „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“.

კარგი გამოდგა შეჯიბრების ბიმდინარეობის ჩვენების ისეთი ფორმა, როგორიც არის მასალების გამოქვეყნება რუბრიკით „ზარია ვოსტოკას“ მუშათა საბჭო“. გაზეთი დაეხმარა მთელ რიგ შრომითს კოლექტივებს ერთმანეთს შორის დაემყარებინათ საქმიანი კონტაქტები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიონული კომიტეტის იმ თაოსნობის გავრცელებას, რომ იმუშაონ ჩამორჩენილი საწარმოების გარეშე.

ამავე დროს კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ უნდა გააძლიერის საქმიანობა შეჯიბრების საკითხების გაშუქებისათვ ი ს. ჯერ კიდევ ეშვიათად ქვეყნდება კრიტიკული მასალები შრომითი მეტოქეობისა და მისი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის საკითხებზე. გაზეთის რედაქციას ჯერ კიდევ ზუსტად არ გაუსაზღვრავს შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების ფორმები. გაზეთის ფურცლებზე არ არის მასალები შეჯიბრების მონაწილე კომუნისტების შესახებ, რომლებიც ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებსა და ვალდებულებებს, ეგრეთ წოდებული „სუსტ ადამიანის ხმას, რომლებიც მოითხოვენ გაუქმდეს ჯონ ჰარისისათვის გამოტანილი უსამართლო განაჩენი.

მიტინგზე გამოვიდნენ ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის პროფესორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე გ. ტყიშელაშვილი, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პარტბიურის მდივანი, დოკენტი თ. მეგრელიძე, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოკენტი ს. ბაქანიძე და სხვები, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ განაჩენი, რომელიც ამერიკელ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მობრძოლ ანტიკანონიერ ბრძოლას ეხება, ეწინააღმდეგება ადამიანურ ფასეულობათა ზოგადსაკაცობრიო ფონდს

სიტყვას ვაძლევთ მოწინააღმდეგეს

თავს არ შევირცხვენთ

ბრიგადაში ოთხნი ვართ, ოთხივე ქალები: მაშო ოქრუაშვილი, ზოია ბასიშვილი, მარინე არჯევანიძე და მე.

ამას წინათ საამქროს უფროსმა ივანე ორჯონიკიძემ დამიბარა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მომილოცა: ელენე! დავიღალე შენი ხელის ჩამორთმევით, ზოგჯერ პირველობა სხვა ბრიგადასაც დაუთმეო.

ცხადია, ეს ხუმრობა იყო. მოწიწებენი სხვებიც არიან. მათი მეოხებით თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება გეგმას დადაჭარბებით ასრულებს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი მეტოქის ი. ჩიტაშვილის ბრიგადა. ის ერთ-ერთი საუკეთესოა. მაგრამ მაჩვენებლების მიხედვით ჯერჯერობით საამქროში ვერავინ გვიწყრება.

ეს, ცოტა არ იყოს, სამაყეს მგვრის. მონდომება და თავდადება რომ გაგიმართლებს, კოლექტივის სიყვარულსა და პატივისცემას მოგიპოვებს, ამაზე დიდ ჯილდო მუშისთვის არ არსებობს.

მე მიყვარს ჩემი საქმე და ჩემი კოლექტივი. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ბავშვი მოვიდოდაბრალასთან არსებულ პროფტექნიკურ სასწავლებელში. დავამთავრე, მჩითავის პროფესია მივიღე და აი უკვე ჩვიდმეტი წელიწადია საჩითავ დაზგას ვუტრიალებ.

ახლა საჩითავ საამქროში საუკეთესო მანქანები დგას. თავიდანვე ასე არ იყო. საამქროს რეკონსტრუქცია მხოლოდ შარშანწინ განხორციელდა. მანამდე საჩითავი საამქრო ორ სართულზე იყო განლაგებული. მანქანები არ გვქონდა. მოჩითვა პრიმიტიული წესით ხდებოდა. გრძელ მაგიდაზე ქსოვილს გადავჭიმავდით. შაბლონს ხელით გადავაადგილებდით და ასე წვალებით ვჩითავდით. მაგიდასთან თერთმეტი წელი ვიმუშავე. შემდეგ მანქანები დადგეს და სიჩქეც გაითლდა.

საამქროს რეკონსტრუქციის შედეგად მეოთხე სართულზე გადმოინაცვლა მთელმა ტექნოლოგიურმა პროცესმა. მაგიდების ნაცვლად საჩითავი მანქანები დამონტაჟდა. საღებავის სახარში განაყოფიერებაც აქვე გადმოიტანეს. დროის დაზოგვის თვალსაზრისით გონივრულად განლაგდა საწარმოო საშუალებები, რამაც გაზარდა წარმადობა და გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

1976 წელს ხარისხის ნიშანი მიენიჭა 32-548 არტიკულს ქსოვილს, რომელსაც ჩვენს საამქროში ვჩითავთ.

ქსოვილის მოჩითვა ფაქიზი საქმეა. მოჩითავზეა დამოკიდებული პროდუქციის ხარისხი. მან თვალყური უნდა მიადევნოს საღებავის სისქის ზომიერებას, იმას, რომ მთელი ტექნოლოგიური პროცესი უზადოდ ჩაიაროს. ხელი შეუწყოს საღებავის ხარისხიან დამაგრებას ქსოვილზე.

შესაორთქლმა დანიდგარმა დიდად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ორთქლში გატარება მოჩითულ ქსოვილს გაუხუნარსა და ფერუცვლელს ხდის. ჩვენმა ნახელავმა ქალი უნდა დამშვენოს, ეს პასუხისმგებლობის გრძნობას გვიზრდის, გვიხარია, როცა მოსწონთ ქსოვილი და თბილისურ შიფონსა და ორგანტს დიდად ეტანებიან ქობწია ქალები.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საჩითავ საამქროს შარშან გეგმით 45 პროცენტის პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა ეწარმოებინა. გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, 64 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვით, რაშიც ჩვენი „ბ“ ცვლის მეკანოტექსილის მანქანაზე მომუშავე ბრიგადასაც მიუძღვის წელილი.

მეათე ხუთწლედის მეაოთხე დამკვრელურ წელს — ჩვენი მეშური გარანტია! — მთელ კოლექტივთან ერთად ამ დევიზით იბრძვის ჩვენი პატარა უბანიც. ვცდილობთ პირნათლად შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის VIII პლენუმის დავალება — უდიდესი ყურადღება დავუთმოთ წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს საჩითავმა საამქრომ გეგმით 55,5 პროცენტის პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოუშვას, ვალდებულებით იგი 60 პროცენტამდე გავზარდეთ. ჩემი ბრიგადის სახელით ვაცხადებ, რომ თავს არ შევირცხვენთ.

ე. მელაძე,

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საჩითავი საამქროს მუშა.

თაღბათა მსტაფეტა

ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ამ დღეებში შეხვედრა მოუწყვეს მეთვრამეტე არმიის ყოფილ მებრძოლებს. ხურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: ახეულის ყოფილი მეთაური, მანგანუმის სამთამადნო კომბინატის დირექტორის მოადგილე, თადარიგის კაპიტანი ლეონიდე ჩხაიძე, მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე შალვა ქურცაძე, მეთვრამეტე არმიის 1058-ე საარტილერიო პოლკის პარტიული კომიტეტის მდივანი, თადარიგის მაიორი, ოთხის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ბრიგოლ ყიფშიძე ეხაუბრებიან პიონერებს.

რ. ბუხრაშვილის ფოტო.

ზემოვაძეს წინაღალება

1. მანქანები ვაზის სამსახურში

ყურძნის წარმოების მკვეთრი გადიდება მთელ რიგ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს.

მევენახეებს განსაკუთრებით მუშახელის ნაკლებობა აღელვებთ. მათი წუხილი ანგარიშგასაწევია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს, მუშახელის საკითხი სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ უნდა ვადაწყვიტოს. ამას ჩვენთან ნაკლები ყურადღება ეცქევა, კერძოდ, ვერ მოგვარდა ვენახების შპალერზე გადასაყვანი და ზვრებში ჰერბიციდების შესატანი აპარატების შექმნისა და წარმოებაში მათი დანერგვის საკითხი.

ჩვენი ქარხნები უშვებენ (ხარისხზე არ ვლაპარაკობ) უსტანდარტო რკინა-ბეტონის საყრდენებს. ასეთი ბოძების მიწაში ტრაქტორით ჩასობა ძნელდება, დაწოლის შედეგად ხშირად იმტვრევა.

- შპალერის მოწყობა მექანიზაციის საშუალებით დიდაქალ მუშახელს გამოათავისუფლებს. ბრეწველობამ უნდა გამოუშვას რკინა-ბეტონის ისეთი ბოძები, რომლებსაც ერთი ბოლო წაწვეტებული ექნებათ და გაადვილდება მათი მიწაში ჩასობა. საჭიროა შეიქმნას ვენახის მწკრივებში მავთულის გასაშლელ-გამჭიმავი ღონწყობილობა.

მრეწველობა უშვებს ვენახებში შესატან ჰერბიციდებს, სპეციალისტები გვირჩევენ მის დანერგვას წარმოებაში, გვაძლევენ წერილობით მეთოდიკურ მითითებებს, მაგრამ არ არის ჰერბიციდების შესატანი აპარატურა.

კარგი იქნება, თუ ამ საკითხების მოწესრიგებას ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა.

გ. გოგელაშვილი,

გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

2. ძეგლებით დავამშვენოთ დედაქალაქი

რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის კერაც და სარკეც ძირითადად რესპუბლიკის დედაქალაქია. მას ძლიერ აშშვენებს სკულპტურული ძეგლები, მონუმენტები, რომლებიც ასახავენ ხალხის ისტორიას, დღევანდელობას, მისწრაფებებს. ამ მხრივ არც თუ ისე მდიდარია ჩვენი დედაქალაქი, მაშინ, როცა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მიმოფანტული გვაქვს დიდებული სკულპტურული ძეგლები (მაგალითად, მ. ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“, „გიორგი საკაძე“, „მედეა“ და სხვ.). ვფიქრობთ, შეიძლება, რომ ჩვენს მშობლიურ დედაქალაქში აგებულ იქნას ამ სკულპტურულ ნაწარმოებთა ავტორისეული ორეულები.

მარნეულის მახლობლად, ალვეთის ნაპირზე წამომართულ ძეგლს, მიძღვნილს ბრძოლის ველზე დაცემული მებრძოლებისადმი, მიეცემა სსრ კავშირის სახელწიფო პრემია. იგი მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ალბათ დაგვერწმუნებთან, რომ იქ მას მნახველი აკლია. ჩვენი აზრით, მშვენიერი ქანდაკების ავტორისეული ორეული აუცილებლად უნდა იყოს თბილისშიც.

„მედეას“ ქანდაკება ბიჭვინთაშია აღმართული, მაგრამ ამ ნაწარმოების მნახველთა წრეც განსაზღვრულია. უძველესი კოლხურ-იბერული ხალხური მედიცინის წარმომადგენლის — მედეას ძეგლი ქაროული მედიცინის ისტორიის მუზეუმის მიდამოებში მეტყველი ეჩაპონატის როლს შეასრულებდა.

თბილისის ერთ-ერთ მოედანს ქართველი ხალხის ეროვნული გმირის გიორგი საკაძის სახელი ჰქვია. ამ მოედანს კი — გიორგი საკაძის ბრონზის ძეგლი ეჭირვებინა. ეს ძეგლი ადგილობრივ ოსტატებს ეკეთებინათ

დაასახელეს გამარჯვებულნი

შეჯამებულია რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგები

შეჯამდა რესპუბლიკის თეატრების დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების დათვალიერება-კონკურსის შედეგები.

ჟიურის გადაწყვეტილებით, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკები, **პირველი ხარისხის** დიპლომი და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლ **„ახალგაზრდა გვარდიას“**, რომელიც რეჟისორმა ი. ჯაჯულიამ დადგა ა. ფადეევის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

მეორე ხარისხის დიპლომითა და მეორე ფულადი პრემიით აღინიშნა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი — მ. შატროვის **„ექვსი ივლისი“** (რეჟისორი გ. ქავთარაძე).

მესამე ხარისხის დიპლომები და მესამე ფულადი პრემიები მიენიჭათ ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ქართული დასის სპექტაკლს მ. ელიოზიშვილის **„ყველასაგან ყველასათვის“** (რეჟისორი ო. მინდიაშვილი) და ჯ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლს — ი. გარუჩავასა და პ. ხოტიანოვსკის **„შენი მიწა“** (რეჟისორი ნ. გაჩავა).

მესამე ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი სიჩუქრებით აღინიშნა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სპექტაკლი **„მაკო აძბა“**, ლ. ქიაჩელის მოთხრობის მიხედვით (რეჟისორი ე. ჩაიძე), სოხუმის ს. ჭანბის სახელობის ქართული დასის სპექტაკლი **„მაკო აძბა“** (რეჟისორი დ. ცისკარიშვილი), აფხაზური დასის სპექტაკლი ვ. ვიშნევსკის **„ოპტიმისტური ტრაგედია“**. (რეჟისორი რ. ქორტავა), რ. თაბუკაშვილის **„დაბადება“**, რომლის დადგმა განაზრაციელა რუსთაველის თეატრმა (რეჟისორი ა. ქუთათელაძე).

სცენაზე ჩვენი **თანამედროვის სახის** საუკეთესო ხორცშესხმისათვის ქიორის **დიპლომები** მიენიჭა რესპუბლიკის თეატრების მთელ რიგ მსახიობს — ქუთაისის თეატრის მსახიობს დ. დვალიშვილს ვ. ი. ლენინის როლისათვის სპექტაკლში „ექვსი ივლისი“, ჯ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობებს ჯ. დაუშვილს ბეთქილის როლისათვის სპექტაკლში „შენი მიწა“, და თ. სხირტლაძეს დარიის როლისათვის ამავე სპექტაკლში, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობს გ. გეგეჭკორს მაქსიმე ნემსიწვერიძის როლისათვის სპექტაკლში „შენი თანამედროვე“, ს. შუმიანის სახელობის სომხური თეატრის მსახიობს ს. სოსიანს ვანო ივანიძის როლისათვის სპექტაკლში „ვაჟიშვილები“ და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობს ტ. ნელიუბოვას ივას როლისათვის სპექტაკლში „უცნაური მილიცია“, ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს გ. წერეთელსა და ო. ჭურკაიძეს საბასა და მიხაკოს როლების შესრულებისათვის ა. ჩხაიძის „დაბრუნებაში“.

მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭათ სოხუმის თეატრის მსახიობებს გ. რატიანს უჯუმ ემხარ როლისათვის სპექტაკლში „მაკო აძბა“ და გ. ციცვას წინამძღოლის როლისათვის სპექტაკლში „ოპტიმისტური ტრაგედია“, ბათუმის თეატრის მსახიობს ი. ცანავას მაზმიანიშვილის როლისათვის სპექტაკლში „დრო — 24 საათი“, ცხინვალის თეატრის მსახიობებს დ. გოჩაშვილსა და თ. მეშვილდეს (მკრჩაჩიანი) ვახტანგისა და ზაურბეგის როლებისათვის სპექტაკლში „ყველასაგან ყველასათვის“.

ჟიურის გადაწყვეტილებით **პირველი ხარისხის** დიპლომები მიენიჭათ დრამატურგებს **მ. ელიოზიშვილს, ო. ჩიჯავაძეს, რ. თაბუკაშვილსა და ვ. იაკობაშვილს.**

თბილისისა და ქუთაისის თოჯინების თეატრების კოლექტივებს მიენიჭათ კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპეციალური დიპლომები.

ᲐᲚᲬᲐᲠᲓᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲛᲐᲯᲘ

ვაჟები და გოგონები

სამოცდაათიანი წლების რაინდები

სოფლის შარაზე ცამეტიოდე წლის გოგონა მიაბიჯებდა. ცალ ხელში სახელმძღვანელოებით სავსე ჩანთა ეჭირა, მეორეში კი — ძველი ქაღალდების მოზრდილი დასტა. შემოდგომის ცხელი დღე იდგა. ტვირთით დაღლილ გოგონას შებლზე ოფლი დასხმოდა, მაგრამ არ იმჩნევდა — გახარებული იყო, რომ სკოლაში დიდძალი მაკულატურა მიჰქონდა, მისი კლასი ხომ პარალელურ კლასს ეჯიბრებოდა — ვინ მეტ მაკულატურას შეაგროვებდა.

უცაბ გოგონამ მარჯვენა ხელში სიმუბუქე იგრძნო, გაკვირვებულმა მოიხედა და თანაკლასელი გოგი დაინახა. ყმაწვილმა დაღლილ გოგონას ჩანთაც გამოართვა და აი ასე ერთად, საუბარში გართულებმა შეუმჩნევლად გაიარეს დარჩენილი გზა. სკოლას რომ მიუახლოვდნენ, გოგიმ ჩანთაც და მაკულატურაც გოგონას მიაჩეჩა და სწრაფი ნაბიჯით სკოლის ეზოს მეორე შესასვლელისაკენ გასწია.

გოგონას ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა, ამხანაგი დაიღალა, ან იქნებ სპორტულ მოედანზე რაიმე საქმე აქვს, და ეზოს იმ მხარეს იმიტომ წავიდაო. არც ის შეუმჩნევია გოგონას, თუ გზაზეც რა ხშირად იხედებოდა აქეთ-იქით თანაკლასელი უმაწვილი. ფრთხილობდა გოგი — გოგონას რომ ვეხმარები, ვინმემ არ დამინახოს და არ დამცინოსო. სკოლის შესასვლელთანაც ამიტომ მიაჩეჩა ამხანაგს ჩანთა და მაკულატურის დასტა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ახალგაზრდობაში საკმაოდ გავრცელებულია ასეთი მანკიერი შეხედულება — თუ ვაჟი გოგონას დაეხმარა, უთანაგრძნო ან იმეგობრა, ამას სხვა თვალით შეხედონ, დასცინონ და რომანაული ამბავი დაინახონ. სწორედ ამიტომ, იმის შიშით „სიძე, სიძე!“ არ დამიძახონო, ბევრი ვაჟი გოგონებთან სიახლოვეს გაურბის, კარგი, კეთილი საქმის გაკეთებას ერიდება, და არცთუ ისე იშვიათად გოგონების მიმართ ნაძალადევ უხეშობასაც კი იჩენს, რათა ამით ტოლების წინაშე თავისი „ვაჟკაცობა“ გამოაჩინოს.

ამ არასასურველი მოვლენის მიზეზი, რასაკვირველია, აღზრდის მეთოდების ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ: ოჯახი თუ პიონერული რაზმი, კომკავშირული ორგანიზაცია თუ პედაგოგიური კოლექტივი ჯერ კიდევ ნაკლებად უნერგავენ ვაჟებს გოგონების მიმართ ფაქიზი და ამავე დროს ვაჟკაცური, რაინდული დამოკიდებულების ჩვევებს. სიტყვა „რაინდი“ შემთხვევით როდი ვახსენეთ. რატომღაც ზოგიერთი მშობელი ამ სიტყვის წარმოთქმისას ვალტერ სკოტის „ივენგოს“ გმირებს, შუა საუკუნეების იმ რაინდებს წარმოიდგენს, რომლებსაც რკინის მუზარადები ეხურათ და ლითონის ამბარი ეცვათ. ეს ასოციაცია მათ წარმოსახვაში ჩრდილავს ქალებისადმი ფაქიზი, სპეტაკი და ვაჟკაცური დამოკიდებულების იდეას. ჩვენ კი სწორედ მათ მიმართ გვსურს ყურადღების გამახვილება.

განა ასურველი არ იქნება, უმაწვილს ჯერ კიდევ პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ, რომ ის გოგონაზე ძლიერია. თუ მოინდომებს, ყოველ წუთში მოერევა, დაჭაბნის, დაჩაგრავს, მაგრამ ასე რომ მოიქცეს, სირცხვილია, იგი ვაჟკაცი კი არა, ლაჩარი, მხდალი იქნება.

პატარაობიდანვე ასე აღზრდილ ვაჟს არ მოერიდება, თანაკლასელ თუ მეზობელ გოგონას საჭიროების დროს ხელი შეაშველოს — ტვირთი წაუღოს, თუ სხვა რამ კეთილი საქმე გაუკეთოს. ბავშვობიდანვე ასეთი სულისკვეთებით აღზრდილი ვაჟი თანატოლ გოგონას უხეშად არასოდეს არ მიმართავს. მელნით არ დაუსვრის ბაფთასა თუ ტანსაცმელს, არ აატარებს სკოლის ეზოში თუ დერეფანში.

აბა, დაკუკვირდეთ, განა ეს ასე არ არის? მაშასადამე, თუ ჯერ კიდევ აქა-იქ გოგონების მიმართ ბიჭები უხეშ დამოკიდებულებას იჩენენ, ეს ჩვენი — აღმზრდელების ბრალია.

ზოგიერთი მშობელი თავის გოგონას ბიჭებთან მეგობრობას უკრძალავს, ეშინია, ამას რაიმე ცუდი არ მოაყოლოს. რასაკვირველია, ყურადღება და კონტროლი საჭიროა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანაკლასელი ვაჟებისაგან გოგონების ხელოვნურ დამორცხვას ცუდი შედეგი მოაკვს. მათ შორის კარგი, ამხანაგური დამოკიდებულება კი დიდად უყოობს ხელს მორალურად სპეტაკი თანამედროვე ახალგაზრდის ჩამოყალიბებას.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს სკოლებში გავრცელდა ახალი ტრადიცია — გოგონები ხაბეჭოთა არმიაი დღეს ულოცავენ მომავალ მეუმრებს — თანაკლასელ ვაჟებს, ისინი კი აღუნიშნავენ ბოლმე ქალთა დღეს — 8 მარტს. ამ ახალი ტრადიციის გამო აკადგოგები და ბებოლეები ხშირად დავობენ, ზოგი იწოლების ამას, ზოგიც — არა. ჩვენი აზრით, კარგია, ოოცა 8 მარტს ბიჭები ლია ბარათებია და წიგნებს უსახსოვრებენ ხოლმე გოგოებს, 23 თებერვალს კი გოგოები ნაკარგა თუ ნახატს უძღვნიან ბიჭებს. ეს ხელს უწყობს მათ შორის ჯანსაღი, ამხანაგური, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაა. თუცა ათიც ის არის დასაძალი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს მილოცვა საკმაოდ ძვირად ღირებული სუფრით მთავრდება, ხაოდაან საიუბილეო ღიოიეულება ოჯახის ბიუჯეტისათვის საგოდოობია. ასეთ გადაირებს კი უხდა ვებრძოლოთ.

ამ სტატიას ქვესათაურად „ხამოცდაათიანი წლების რაინდები“ რომ დავურთეთ, გავიფიქრეთ, ზოგიერთ მკითხველს მესაძლოა გაუკვირდეს, მეოცე საუკუნის ძიუურულში შუა აუკუნეების დამახასიათებელი ცნებია გახსენება. ნუ გავიკვირვებთ, ჩვენი სწორედ დღეს, ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად დღეებში გვესაჭიროება რაინდული თვისებია მჭოე ახალგაზრდობა, რომელსაც მომავლის ადამიანისათვის საჭირო სხვა თვისებებთან ერთად ექნება ქალებისადმი პატივისცემის, ფაქიზი და სპეტაკი დამოკიდებულების, უფრო მეტიც, მათთვის თავდადების შესანიშნავი გრძნობა. ყოველივე ეს კი ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს.

გურამ ბახტაძე,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ახალციხე. (საკ. კორ.), საქართველოს კომკავშიროის პრემიის ლაურეატმა ძეხვითის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ა. სუმბათაშვილ-იუბილის „ღალატი“.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. პატარიძემ. ზეხტრულად გაფორმა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშამ ა. გოგოლაძემ.

მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები პ. ქადაგიძეული. ო. რეხვიაშვილი, ლ. სულეიმანოვი, გ. კოხრეიძე, ლ. თევზაძე, ზ. ბერძენიშვილი, მსახიობები თ. ჩერქეზიშვილი, ზ. მინდიკაური, რ. ხატიძე, ვ. ალავიძე.

შ. მაისურაძე.

„ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲘᲛᲘᲡ“ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

სოხუმი. (საქინფორმის კორ.). პოლონეთში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა თვითმოქმედი კოლექტივი — აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სეფუტრადო ორკესტრი „ავტორიტმი“.

სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები — სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების მძღოლები, ხარატები, ელექტროკოები, საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკოსები და ინჟინრები აფხაზეთის პოპულარულ სეფუტრადო ორკესტრში გაერთიანა მუსიკისადმი სიყვარულმა. მის რეპერტუარშია აფხაზი, ქართველი და რუსი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, კავკასიის ხალხთა ცეკვები.

□

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ცაგერი. ვაზითა და ხეხილით დაკამშვენოთ რაიონული ცენტრი — გადაწყვიტეს რაიონის მმროველებმა.

რამდენიმე წლის წინათ ვაზისა და ხეხილის ბაღმა საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ეზო დაამშვენა. მათს წამოწყებაა სხვებმაც აუტეს მხარი. ახლა ღვინის ქარხნის ეზოს ვაზის უძმენეიერესი ტალავერი ამკობს. ყველაზე ძეტად კი ამ საქმეში ლაჯანურპეაელებმა ისახელეს თავი: მათ ელექტროსადგურის ტერიტორიაზე ვაშლის ხეები და ვაზის ტალავერი გააშენეს. ენერგეტიკოსები თავს დასტრიალებენ თავიანთ ნახელავს და შარმან შემოდგომაზე მოსავალიც მიიღეს — სახელმწიფოს 475 კილოგრამი ყურძენი და ნახევარი ტონა ვაშლი ჩაბარეს.

ჩ. ჩაკვეტაძე.

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘ— ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის ასამდე მეშახტემ შარშან შვებულების დღეები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაატარა. პროფკავშირის სამახტო კომიტეტმა მშრომელთა დასვენებას 12 ათასი მანეთი მოახმარა.



ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

აჭარაში ძალუმად იგრძნობა გაზაფხული. ყვავის ტყემალი, მაგნოლია, აკაცია. კამელია.

რესპუბლიკის კურორტებზე ყოველდღიურად მრავალი დამსვენებელი ჩამოდის. პირველი ტურისტები მიიღო ბათუმის ტურბაზა „მეხსიერმა“. აქ რამდენიმე მარშრუტით ჩამოვდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები. მუშაობა დაიწყეს მახინჯაურის ჯანმრთელობის კერებმა, დედაქალაქის პანსიონატმა „ბათუმმა“, მწვანე კონცხის სანატორიუმებმა და ტურბაზებმა.

ბათუმის ზღვისპირა პარკის გუბურებში დაცურავენ შავი და თეთრი გედები, ხეივნებში ამაყად დასეირნობენ ლამაზი ფარშევანგები, ნაზი ცოცხები, ტანადი ნეროები. პარკის მუშაკებმა კარგი პირობები შეუქმნეს ფრთოსან ბინადართ. გაზაფხულის პირველ დღეებში შავი გედების ოჯახს სამი ბარტყი შეემატა. მშობლები მზრუნველად უვლიან შთამომავლობას.

სურათებზე: პანსიონატ „ბათუმთან“. წელს აქ დაისვენებს 3 ათასზე მეტი კაცი; შავი გედები ბარტყებთან ერთად.

ნ. ანასტასიმეანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ

მთელი მსოფლიოს მედიკოსების დიდ ყურადღებას იპყრობს დღეგრძელობის პრობლემების შესახებ, ბრძოლა ნაადრევ სიბერესთან. დღეს მეცნიერები საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს და კიდევაც უნდა იცოცხლოს ას და ოეტ წელიწადს.

აქტიური დღეგრძელობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი რესპუბლიკის ძცაოკრებლები. საქართველოში ძოველი ხლის მანძილზე ეაარძოებენ ძოგალძხრივ კვლევას დღეგოძელობა. მეცხიეოული საფუვლების, დაბეოეების სოციალუო-გეოგრაფიული ფაქტორების ძესწაკლის დაოგძი. ხოლო საქაოთკელის სსრ ძეცნიერებათა აკადემიის ექსპერიეოტული მორფოლოგიის ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა და ამერიკელი ძეცნიერების ერთობლივ გაოკკლევებეი იმ ხალხებისა და ეთნიკეური ჯგუფების კომპლექსური ეესწავლის დარგში, როოელთაც დღეგრძელთა ბაღალი პოოცენტი აქვთ. ეს გამოკვლევები ტაოდგბა სსრ კავშირის ძეცნიერებათა აკადემიასა და ამერიკის შეძეცხებით საზოგადოებათა საბაკოო ეეთანხმების საფუძველზე. ძუძაობაძი, ოოძელიც ოადეხიძე წლისათვის აოის გათვალიწინებელი, ძონაწილეობენ სსრ კავშირის მეცხიერებათა აკადემიის ეთნოგოაფიისა და ანთოოპოლოგიის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მედიკიციის ძეცხიეოებათა აკადემიის გერონტოლოგიის ინსტიტუტი, აფხაზეთის დ. ნ. გულიას სახელობის ეხის, ლეტეოატურისა და ისტოოიის ინსტიტუტი.

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო საბჭოთა და ამერიკის სამეცნიერო ერთობლივი ექსპედიცია მძიმენარე წლის ზაფხულში მეუდგება მუშაობას აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში. თავის მხრივ ამერიკელი მეცნიერები აპირებენ დაიწყონ მენონიტების — ამერიკაში მე-17 საუკუნეში გადასახლებული ჰოლანდიელების — ეთნიკური ჯგუფის შესწავლა. იქმნება მრავალწლიანი საერთაშორისო ექსპედიციო ბაზები, შემოშავებულია სპეციალური ინკეტები, რომელთაც ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით დამუშავებენ. დასაბალია მეცნიერების გაცვლა, ერთობლივი სიმპოზიუმების მოწყობა, სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნება და ა. შ.

საუბრისა და გამოსვლებში ამერიკელმა სპეციალისტებმა დიდად შეაფასეს საბჭოთა მეცნიერების მიღწევები გერონტოლოგიისა და გერიატრიის დარგში, ჩვენს ქვეყანაში ნაადრევ დაბერებასთან ბრძოლის სამსახურის ორგანიზაცია. სპეციალიზაციის, ფინანსურ-ეკონომიკურ საქმის დაყენება, ფინანსურ-ეკონომიკური ბრძოლა, ეს ყველა პირობაა შექმნილი, რათა სპეციალისტებმა ასაკს მიღწეული ადამიანები თავს საზოგადოებისაგან მოწყვეტილად არ გრძნობდნენ და შეძლებისდაგვარად შეეძლოთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის კვლევის დასახული პროგრამა ხელს შეუწყობს დღეგრძელობის საიდუმლოებაში შემდგომ ჩაწვდომას, მისი მექანიზმების გამოცნობას, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებას.

(საქინფორმი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲛᲐᲮᲕᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘ

„დინამო“ (მოსკოვი) — „რეალ-ბეტისი“ (სევილია) — 2:0 (0:0)

თბილისი, 15 მარტი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

მსაჯები: ხ. ტომე, ი. ფრედრიკსენი, კ. ლინდეო (სამივე — ნორვეგია).

„დინამო“: გონტარი (პილგუი), პაროვი (ნიკულინი), კაზაჩენოკი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტროშინი, გერშკოვიჩი, დოლმატოვი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, მინაევი.

„რეალ-ბეტისი“: ესნაოლა, ბისკოჩო, კობოსი (დელ პოსო), მიურენი, ბიოსკა, ლოპეხი, ვარსია სორიანი (ანსარდა), ალაბანდა, კაბეზასი, კარდენოსა, გორდალიო.

ᲘᲡ-ᲘᲡ იყო, მოსკოველები გვრიმბადან მწვანე მინდორზე უნდა გასულიყვნენ, როცა დინამოელთა მწვრთნელს ა. სევიდო